ოქმი:**ო31. 3124110001**
თარიღი:**19/04/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

16. 04. 2024 წელი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თედორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ეკა გუჯაბიძე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსი ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის 05 აპრილის N 04-302409674 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საგრანტო კონკურსში ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველო“, რომელიც ხორციელდება გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით. საგრანტო კონკურსის თემა ეხება, ინფრასტრუქტურის აღნუსხვას მუნიციპალიტეტში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილი საკონკურსო საგრანტო განაცხადი, დადებითად შეფასდა - ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველოს“ გუნდის მიერ და შერჩეული არის დაფინანსებისათვის. გოეთეს ინსტიტუტსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად განსაზღვრულია ვადა, მიმდინარე წლის 18 აპრილამდე. ვინაიდან, გრანტთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმება უნდა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადაში, მიზანშეწონილია, საკრებულომ საკითხის განხილვის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე.

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა აღნიშნა, რომ ქვეყნის მასშტაბით 62 მუნიციპალიტეტიდან შეირჩა 35 მუნიციპალიტეტი. კონკურსის ფარგლებში პირველი ეტაპი ეხება ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვას და ამ კუთხით დაფინანსება შეადგენს 5000 ევროს, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მიტოვებული და უფუნქციო შენობა-ნაგებობის აღრიცხვას და ონლაინ რუკის შედგენას. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, ეს ობიექტი მუნიციპალური საკუთრება იქნება თუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ასევე, გათვალისწინებული იქნება კერძო საკუთრებაში არსებული ისეთი ობიექტები, სადაც შესაძლებელია მოეწყოს კულტურული ინდუსტრია. მეორე ეტაპზე შეირჩევა 18 მუნიციპალიტეტი და დაფინანსება შეადგენს 8000 ევროს, რომლის ფარგლებშიც უკვე აღრიცხულ ობიექტებთან მიმართებაში უნდა გაითვალოს, თუ სად რა შეიძლება გაკეთდეს. საბოლოოდ კი შეირჩევა ერთი ლოკაცია და მოხდება იმის დასაბუთება, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს კონკრეტულ ობიექტზე გარკვეული კულტურული ინდუსტრიის მოწყობა. მესამე ეტაპი მოიცავს 8 მუნიციპალიტეტს და დაფინანსება შეადგენს 1250000 ევროს, რაც გულისხმობს დასაბუთებული იდეის დაპროექტებას და განხორციელებას.

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა იმედი გამოთქვა, რომ გუნდი, რომელშიც მერიის შესაბამისი სამსახურებთან ერთად ასევე ჩართულები არიან გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლები, წარმატებით გაივლის კონკურსს და ყველა გეგმას თუ ვალდებულებას ჯეროვნად გაართმევს თავს. გარდა ამისა, არის მითითება, რომ პირველ ეტაპზე მონაწილეობას იღებენ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურები, ხოლო საბოლოო ეტაპზე შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ ა(ა)იპ-ები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** მომხსენებელს რამდენიმე შეკითხვით მიმართა. კერძოდ, - პროექტში დევს მთავრობის ნებართვა, რომლითაც მუნიციპალიტეტს ეძლევა უფლება მიიღოს გრანტი, რაც ნიშნავს თუ არა იმას, რომ მთავრობა მუნიციპალიტეტს აძლევს გარკვეულ მინიშნებას, თუ რომელ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ან ინსტიტუტთან ითანამშრომლოს;

-ყველა ეტაპის გავლის შემთხვევაში ვინ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას, რადგან ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, შეიძლება გოეთეს ინსტიტუტი გამოცხადდეს უცხოური გავლენის აგენტად და უარი განაცხადოს დაფინანსებაზე. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, ამ შემთხვევაში როგორ განვითარდება სიტუაცია, რადგან, თუ ეს საკითხი წარმოადგენდა მუნიციპალიტეტისთვის საჭიროებას, რატომ არ მიმართეს ბიუჯეტს;

- საბოლოოდ, არის თუ არა გარკვეული, რომ 5000 ევრო საკმარისია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შენობა-ნაგებობების თუ ობიექტების აღრიცხვისა და ასეთი ტიპის ონლაინ რუკის მოსამზადებლად;

- შერჩეული თუ აქვთ მეორე ეტაპისთვის სავარაუდო ობიექტი.

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსის, **ია ჩხაიძის** განმარტებით, მათთვის კარგად არის ცნობილი მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ. აქედან გამომდინარე, ძალიან წაადგებათ, თუკი ეცოდინებათ, სად და რისი გაკეთება შეიძლება. ამის ნათელი მაგალითია მუნიციპალიტეტში არსებული ჭადრაკის სახლი. რაც შეეხება, საბოლოოდ იდეის შერჩევას, ამ მხრივ, მოიაზრება რამდენიმე ვარიანტი. კერძოდ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე ემზარ თევდორაძემ დააყენა საკითხი სოფელ მამათში ედუარდ შევარდნაძის სახლ-მუზეუმის მოწყობის შესახებ, რაზეც წლებია მიმდინარეობს საუბარი. ასევე, ნოე ჟორდანიას სახელობის სკვერის მიმდებარედ, ყოფილი უპოვართა სასადილოს შენობაში, შეიძლება გაკეთდეს მულტიფუნქციური სივრცე, სადაც გაიმართება სხვადასხვა შეხვედრა და კულტურული ღონისძიება. გარდა ამისა, ძალიან კარგი კულტურის სახლები აქვთ ლესას, აკეთს, ჩოჩხათს და შრომისუბანს, რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას. საბოლოო ჯამში, მუნიციპალიტეტში საკმაოდ მოიძებნება ისეთი ობიექტები, რომელთაც ესაჭიროებათ განახლება. მოხდება მათი აღნუსხვა და ერთობლივი მსჯელობის შედეგად მიიღებენ გადაწყვეტილებას, წარმატების შემთხვევაში, რომელი ლოკაცია იქნას წარდგენილი მესამე ეტაპზე. მთავრობის ნებართვასთან დაკავშირებით, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა განმარტა, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის ფარგლებში ტურისტული კუთხით მუნიციპალიტეტში უკვე მიმდინარეობს ერთი საგრანტო პროექტი. ეს არის მეორე პროექტი, რასაც გოეთეს ინსტიტუტი ახორციელებს ევროკავშირის დაფინანსებით, რაც მიზნად ისახავს კულტურული ინდუსტრიის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით მერიაში შემოვიდა წერილი, სადაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რომ მასში უნდა ჩართულიყო მერიის შესაბამისი სამსახური, რომელმაც თავის მხრივ, შეასრულა და განახორციელა ყველა სამუშაო თუ ვალდებულება, რაც აუცილებელი პირობა იყო აღნიშნული გრანტის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, ნებისმიერ გრანტს, რომელიც შემოდის საზღვარგარეთიდან, ესაჭიროება მთავრობის თანხმობა, მაგრამ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც GIZ-ს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებთან დაკავშირებით მთავრობის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტებს არ სჭირდება მთავრობის ნებართვა და თანხმობას იძლევა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** პირველ რიგში მადლობა გადაუხადა მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსს, რომ თანამშრომლობენ უცხოელ ორგანიზაციებთან. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით საერთოდ არ იქნებოდა პოლემიკა, რომ არა ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა, რადგან მისი მიღების შემთხვევაში, სრულიად უცნობია, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ უცხოელი დონორი ორგანიზაციები, რადგან საუბარია კანონის პრინციპზე და არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახელი დაერქმევა მას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ამ განცხადებამ საკრებულოს წევრების გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდობაძემ** მოუწოდა კოლეგას, ნუ ავრცელებს დეზინფორმაციას და კანონპროექტი ჩამოაყალიბოს სწორად.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ კარგია, თუ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში იფიქრებენ ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზის კეთილმოწყობაზე. ასევე, უპრიანი

იქნება, თუ პირდაპირ ორიენტაციას აიღებენ სოფლებთან მიმართებაში, რადგან ლანჩხუთში კულტურული თვალსაზრისით, შედარებით ისედაც ბევრი სივრცეა. მისი განცხადებით, ასევე, ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ აღმასრულებელმა ორგანომ მსგავს საკითხებთან_დაკავშირებით აიღოს საკრებულოსგან ნებართვა, რადგან მას აქვს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, იმუშაოს ასეთი პროექტების განხორციელებაზე. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათთან მიმართებაში მადლობის მეტი არაფერი არ ეთქმით.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ 2022 წელში ასეთივე შემოსული გრანტის ფარგლებში გაკეთდა ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც მეორე წელია, რაც არ გახსნილა. ის დაინტერესდა, სად და რაში დაიხარჯა თანხა, რაზეც მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **ეკა გუჯაბიძემ** პირველ რიგში აღნიშნა, რომ აღმსრულებელ ორგანოს საკანონმდებლო ორგანოს ნებართვა სჭირდება, რაც ყველას კარგად მოეხსენება. ამის შემდეგ განმარტა, რომ ელოდებიან შესაბამისი სამინისტროდან ახალგაზრდული ცენტრისთვის აღჭურვილობის ჩამოსვლას. ამასთან, მოუწოდა საკრებულოს წევრს, რომ თუკი მომხრეა აღნიშნული გრანტის, მაშინ გამოხატოს საკუთარი პოზიცია და დაუჭიროს მხარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N18 (16.04.2024).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

16 აპრილი **2024** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11.00.	
2	ემზარ თევდორაძე	12.00	
3	ვერიკო კვირკველია	12.00	
4	გიორგი ჩახვაძე	11.30	
5	გიორგი ხელაძე	11.50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11.36	
7	ზაზა წულაძე	11.55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11.50	
9	გიორგი იმნაიშვილი	11.36.	
10	ია მოქია	11.55	
11	კახაბერ ასკურავა	11.5	
12	მაკა მშვიდობაძე	11:50	
13	ვლადიმერ ნანაძე	11.32	
14	კარლო წილოსანი	11.38	
15	ლოლიტა ურუშაძე	11.55	
16	ნინო მშვიდობაძე	11.56	
17	გოგი მორჩილაძე	11	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11.58	
19	გიორგი გოგუაძე	11.46.	
20	გოჩა ჯანაშია	11.55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11.45	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11.50	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 ᲬᲔ	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 36	